პროდუსერის ხედვა

მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი

„ატელიე“
(სამუშაო სათაური)
რეჟისორი: **სოფო ჩხეიძე**

ერთ სივრცეში შვიდი მკერავი იყრის თავს. ტანსაცმლისა და ჭორების კერვაში მათ მრავალი წელი გაატარეს ერთად. სალაპარაკო თემა არ ილევა. გარედან შემოსულ ხალხს ახალ-ახალი ისტორიები მოყვება.

ამ პროექტზე მუშაობა ჩემთვის, როგორც რეჟისორისთვის და როგორც პროდუსერისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ეს პროექტი ჩემთვის არის უცხო გარემოში გადაღების პირველი გამოცდილება.

„ატელიე“ არის მიკრო სამყაროზე დაკვირვება. სამყაროზე, სადაც იკერება ტანსაცმელი და ჭორები. თუმცა, არ არის სუფთა ობზერვაციული ფილმი, არამედ ეს არის ჰიბრიდი ობზერვაციისა და ვიდეო არტის. ფილმში რიტმს და მუსიკას ქმნის სამკერვალოს ხმები და

Sopio.chkheidze@gipa.ge
Sophie.chkheidze@gmail.com
+995 591 66 99 01

დეტალები. საერთო ჯამში მივიღებთ ინდუსტრიული მუსიკის მაგვარ ხმებსა და გარე სამყაროდან შემოჭრილ ჭორებს.

- ფილმი საინტერესო შეიძლება იყოს აუდიო-ვიზუალური მიმართულებით დაინტერესებული სტუდენტებისთვის. ამიტომ შესაძლებელია სხვადასხვა საუნივერსიტეტო ღონისძიებებზე მისი გატანა.
- მოკლემენტაჟიანი ექსპერიმენტული ფილმების ფესტივალი.
- ფილმის ნაწილი შეიძლება განთავსდეს გალერეაში - ვიდეო ინსტალაციის სახით.

პროექტი „ატელიე“ მოიცავს ასევე ვებ გვერდს, რომელიც ორი ნაწილისგან შედგება.

1. **<u>შეკერე</u>** > საკერავი ნივთები და დეტალები არის წარმოდგენილი როგორც ღილაკები. ისინი წარმოადგენენ სხვადასხვა საუნდის სემპლებს. ასევე, მოცემული გვაქვს თაიმლაინი. ვებ გვერდზე შესულ ადამიანს შესაძლებლობა ეძლევა სემპლინგის საშუალებით შექმნას მაქსიმუმ 1 წუთიანი ტრეკი. ეს სემპლები იქნება ჩემმიერ ჩაწერილი ხმები, სამკერვალო ატელიეში.

2. **<u>დაკერე</u>** > წარმოდგენილია 7 ილუსტრირებული მკერავი. თითოეულ მათგანთან ისრის მიტანის დროს გამოდის ორი პატარა ფანჯარა: მკერავის სახელი და პატარა ვიდეო, რომელშიც ეს კონკრეტული მკერავი ფიგურირებს. ვებ გვერდზე შესულ ადამიანს, შეუძლია აირჩიო შვიდი მკერავიდან ერთ-ერთი, რის შემდეგაც აღმოჩნდება ჩატრუმში იმ მკერავთან, რომელიც მან აირჩია. „მკერავ ბოტებთან“ გასაუბრების შემდეგ, შეგვიძლია ვიხილოთ ამა თუ იმ მკერავის საკონტაქტო ინფორმაცია.

   ვებ გვერდი საშუალებას იძლევა:
   1. შექმნა 1 წუთიანი ორიგინალური კომპოზიცია (რომლიც გადმოწერის საშუალებაც ექნება „მოთამაშეს“).
   2. „მკერავ ბოტებთან“ გაბმული მიწერ-მოწერის საშუალებით აირჩიო რომელიმე მკერავი და მიიღო მისი საკონტაქტო ინფორმაცია.

Sopio.chkheidze@gipa.ge
Sophie.chkheidze@gmail.com
+995 591 66 99 01